საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1099

19/07/2021

ქ. თბილისი

,,ქ. თბილისში შპს ,,კავკას პლასტის'' პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისთვის პლასტმასის გოფრირებული მილები) წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის N 2-692 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისში შპს ,,კავკას პლასტის'' პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისთვის პლასტმასის გოფრირებული მილები) წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის N 2-692 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №67 (05.07.2019)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში შპს "კავკას პლასტის" პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისთვის პლასტმასის გოფრირებული მილები) წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის N 2-692 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კავკას პლასტის";
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კავკას პლასტის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ნაძალადევის რაიონის გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი